



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოვალკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 11, 2024

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
საქართველოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოება გაიზარდა.....	2
ამერიკული ნავთობკომპანიები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს ფიქალის საბადოებში უფრო სწრაფი ბურღვისთვის	2
ელექტროენერგეტიკა	3
CFD აუქციონში გამარჯვებული ჰესების ნაწილის მშენებლობა მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ იწყება - ირაკლი ტყეშუჩავა	3
ქონების გადასახადზე კანონის მიღება ჰესების წინააღმდეგ პროტესტის საკითხს გადაჭრის - გიორგი მარგებაძე.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	5
ევროპარლამენტმა მიიღო შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების დირექტივა.....	5
სტუდენტები სახელმწიფო ენერგოკომპანიებში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან ..	5
კლიმატის ცვლილება.....	6
COP29-ის მასპინძელი აზერბაიჯანი გეგმავს კლიმატის მიზნის განახლებას.....	6
კანადა სუფთა ენერჯის კანონპროექტში ცვლილებების შეტანას გეგმავს.....	7
ლონისძიებები	7

ნავთობი და გაზი

საქართველოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოება გაიზარდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს ქვეყანამ 56,2 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები აწარმოა, რაც 38,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელზე. 2022 წელს საქართველოში წარმოებული პროდუქტის მოცულობამ 40,5 ათასი ტონა შეადგინა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტი რეკორდულად, 2-ჯერ გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს ქვეყნიდან 42 958 ტონა 20,844 მლნ აშშ დოლარის ადგილობრივი ნავთობი და ნავთობპროდუქტები გავიდა, წინა წელს - 19 573 ტონა, 12,278 მლნ აშშ დოლარის.

საქსტატის მიხედვით, 2023 წელს ყველაზე მეტი ქართული ნავთობი და ნავთობპროდუქტები გავიდა საბერძნეთში, შვეიცარიასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/mw2sPTCP>

ამერიკული ნავთობკომპანიები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს ფიქალის საბადოებში უფრო სწრაფი ბურღვისთვის

ჰიუსტონში ბნელი სადისპეტჩერო ოთახიდან რაფაელ გუედესი მონიტორზე უყურებს, თუ როგორ იღებს რობოტი საბურღი პლატფორმის მართვას ჩრდილოეთ დაკოტას ნავთობის საბადოზე და ბლოკავს ადამიან-ოპერატორს.

კამკამა წითელმა კვადრატებმა გაანათა ეკრანი, როცა ხელოვნური ინტელექტის პროგრამამ აიღო შორეული Nabors Industries Ltd.-ის ჭაბურღილის მართვა, გადაგზავნა ინსტრუქციები თანამგზავრიდან და წამიერად მიიღო გადაწყვეტილებები კლდოვანი ფენის შეუფერხებლად გაბურღვისთვის. გუედესი, კომპანიის საწარმოო ინსტრუმენტების დირექტორი, თვლის, რომ კომპანია Corva-ს პროგრამა დაზოგავს ადამიან-ოპერატორის დაახლოებით 5000 ბრძანებას ჭაბურღილის ბურღვისას და გაზრდის სიჩქარეს მინიმუმ 30%-ით.

„ეს ყველაფერი ავტომატიზირებულია - მბურღავს არ ჭირდება დააჭიროს რაიმეს“, - თქვა გუედესმა, როდესაც ეკრანზე მწვანე ხაზი მიჰყვებოდა საბურღის წვერის გზას მიწისქვეშეთში. „ახლა შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ტვინი სხვა რამისთვის.“

ნავთობისა და გაზის ინდუსტრიამ დიდი ხანია, ძირითადად, ხელოვნური ინტელექტი გადაიყვანა დამხმარე ამოცანებზე, როგორცაა სეისმური კვლევების შეფასება, ხოლო ბურღვა და ჰიდრაულიკური რღვევა მყარად რჩებოდა ადამიანის ხელში. ახლა კომპანიები სულ უფრო ხშირად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, მანქანურ სწავლებას და დისტანციურ ოპერაციებს, რათა დააჩქარონ ბურღვა, გვთავაზობენ უკეთეს გზებს ჰიდრორღვევისა და იმის პროგნოზირებისთვის, თუ როდის გამოვა წყობიდან ჭაბურღილის აქტიური ტუმბოები.

წყარო: worldoil.com - <https://cutt.ly/Xw2sPSch>

ელექტროენერგეტიკა

CFD აუქციონში გამარჯვებული ჰესების ნაწილის მშენებლობა მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ იწყება - ირაკლი ტყეშუჩავა

ენერგეტიკის მხარდაჭერი CFD სქემის პირველ აუქციონში გამარჯვებული კომპანიების ნაწილი მშენებლობის ეტაპზე ჯერჯერობით არ გადასულა.

როგორც „გროს ენერჯი ჯგუფის“ ფინანსურმა დირექტორმა BMG-ის განუცხადა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ენერგობიექტების მშენებლობა დროში იწელება, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა და მათთან გაჭიანურებული მოლაპარაკებებია.

ირაკლი ტყეშუჩავას ინფორმაციით, პირველ CFD აუქციონში გამარჯვებული პროექტებიდან ამ დროისთვის მხოლოდ სამი ობიექტია სამშენებლო ეტაპზე გადასული, ჰესების ნაწილის გაჭიანურების მიზეზი კი სწორედ მოსახლეობის პროტესტია.

მისი თქმით, აუცილებელია, რომ მთავრობა საკითხის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთოს და ამ პრობლემის გადასაჭრელად გარკვეული ზომები მიიღოს.

„ინვესტორებს პირდაპირ უწევთ მოლაპარაკებების წარმოება ადგილობრივ მოსახლეობასთან, ფაქტობრივად კომპანიები მარტო არიან დატოვებულები მოსახლეობასთან. ეს სოციალური საკითხები ენერგობიექტების, ჰესების მშენებლობას და განვითარებას ხელს უშლის. მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო კომპანიების უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს ეკონომიკის სამინისტროსთან სამშენებლო მემორანდუმი გაფორმებული. საბოლოო მემორანდუმის ხელმოსაწერად ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ მოსახლეობასთან მოლაპარაკებებია. ინვესტორები შეთანხმების მიღწევას ცდილობენ, თუმცა ხშირად ადგილობრივებისგან ისეთი არარეალური საკითხები ისმება, რომლის მოგვარებაც კომპანიისთვის შეუძლებელია და მას დიდ ფინანსურ ზარალზე გაიყვანს. ამიტომ აუცილებელია, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში მთავრობა აქტიურად ჩაერთოს, ეს საკითხი რაიმე საკანონმდებლო რეგულაციით თუ დადგენილების სახით მოგვარდეს, რათა ქვეყანაში ჰესების მშენებლობას ხელი არ შეეშალოს“, - განაცხადა ირაკლი ტყეშუჩავამ.

ეკონომიკის სამინისტრომ ენერგეტიკაში საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერის პირველი CFD აუქციონის შედეგები 2023 წლის მაისში გამოაქვეყნა. გამარჯვებულთა სიაში 24 საინვესტიციო პროექტი იყო, მათ შორის 14 ჰიდროელექტროსადგური, 2 ქარის ელექტროსადგური და 10 მზის სადგური.

ამასთან, სიმძლავრის მეორე აუქციონი 2024 წლის 16 თებერვალს დასრულდა, მისი ჯამური დადგმული სიმძლავრე 800 მგვტ.-ს შეადგენს. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროში შესული განაცხადების სიმძლავრე გამოცხადებულს 1077 მგვტ.-ით აღემატება.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/Fw2sAgu7>

ქონების გადასახადზე კანონის მიღება ჰესების წინააღმდეგ პროტესტის საკითხს გადაჭრის - გიორგი მარგებაძე

მცირე და საშუალო ჰესების ასოციაციაში“ აცხადებენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ენერგობიექტების მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტი კვლავ გამოწვევად რჩება.

როგორც ასოციაციის ხელმძღვანელმა BMG-ის განუცხადა, არის ჰიდროელექტრო-სადგურების პროექტები, რომელთან მიმართებაშიც მსგავსი პრობლემები აღარაა, თუმცა არაერთი ობიექტი რჩება, რომლის მშენებლობაც სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო კვლავ ჭიანჭურდება.

მისი თქმით, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მთავარი გზა იმ საკანონმდებლო პაკეტის მიღებაა, რომლის მიხედვითაც ქონების გადასახადის გარკვეული ნაწილი უშუალოდ იმ თემსა თუ სოფელში დარჩება, სადაც გენერაციის ობიექტები და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურული პროექტები შენდება.

„არის ენერგოპროექტები, რომელთაც არ აქვთ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა ბევრი რეგიონი, სადაც მოსახლეობის წინააღმდეგობა კვლავ გამოწვევაა. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუკი ენერგოპროექტი სოფლიდან 10 კილომეტრში ხორციელდება, ნაკლები პრობლემები იჩენს ხოლმე თავს. თუმცა თუკი მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, მაშინ როგორც წესი, ინვესტორისთვის ეს პრობლემური ხდება. ამიტომ ლატარიის პრინციპით რომ არ ვიყოთ ხოლმე, მთავარი გამოსავალი აქ იმ კანონის მიღებაა, რომელზეც კერძო სექტორი უკვე წლებია მუშაობს. ამ დარგის წარმომადგენლები დარწმუნებულები ვართ, თუკი ქონების გადასახადის ნაწილზე ადგილზე დარჩება და ის უშუალოდ იმ სოფელსა და თემში სხვადასხვა პროექტებს მოხმარდება, მოსახლეობის პროტესტთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგვარდება“, - განაცხადა გიორგი მარგებაძემ.

„განახლებადი ენერჯის პროექტების ზემოქმედების არეალში მცხოვრები ადგილობრივი თემებთან გრძელვადიანი სარგებლის განაწილების შესახებ“ კანონპროექტი - ასე ჰქვია „საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციის“ (GREDA) მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელზედაც მუშაობა ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს.

ინიციატივის უმთავრესი მიზანია, მოსახლეობაში გენერაციის ობიექტების მისამართით არსებული ნეგატიური განწყობების შეცვლა. GREDA-ს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი გულისხმობს ქონების და მიწის გადასახადის გარკვეული ნაწილის უშუალოდ იმ თემსა თუ სოფელში დარჩენას სადაც გენერაციის ობიექტები ან/და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგალითად, ელექტროგადამცემი ხაზები შენდება.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/cw2sAE7l>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

ევროპარლამენტმა მიიღო შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების დირექტივა

ევროპარლამენტმა 12 მარტს მიიღო შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების დირექტივის (EPBD) ახალი რედაქცია, რაც მნიშვნელოვან ბარიერს მოხსნის ევროკავშირის გზაზე კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოებისკენ. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ახლა უკვე ოფიციალურად უნდა მიიღონ ტექსტი აპრილში, ენერგეტიკული საბჭოს მომავალ სხდომაზე, სანამ დირექტივა კანონი გახდება.

არსებობდა შიში, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსერვატიული დეპუტატები, განსაკუთრებით გერმანიის გავლენიანი EPP ჯგუფი, კენჭისყრას ბოლო წუთებში ჩაშლიდნენ, მაგრამ თვეების განმავლობაში რთული მოლაპარაკებების შემდეგ, ევროპარლამენტმა პლენარულ სხდომაზე მიიღო შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების დირექტივა (370 მომხრე, 199 წინააღმდეგი).

მომხსენებელმა შენობების ენერგომახასიათებლების დირექტივის შესახებ კიარან კუფემ (მწვანეები/EFA, IE) თქვა: „დირექტივა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია კლიმატის პოლიტიკას რეალური და დაუყოვნებელი სარგებელი მოუტანოს ჩვენი საზოგადოების ნაკლებად შეძლებულ ფენებს. ეს კანონი ხელს შეუწყობს ენერგოგადასახადების შემცირებას და ენერგეტიკული სიღარიბის ძირეული მიზეზების დაძლევას, ამავდროულად ათასობით მაღალხარისხიანი ადგილობრივი სამუშაო ადგილის შექმნას მთელს ევროკავშირში. ევროპაში CO₂-ის ემისიების 36%-ის პრობლემის გადაჭრით, ის აბსოლუტურად არსებით საყრდენს მატებს ევროპის „მწვანე შეთანხმებას“. დღევანდელი შედეგი აჩვენებს, რომ პარლამენტი აგრძელებს „მწვანე შეთანხმების“ მხარდაჭერას, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს სამართლიანობას და ამბიციებს“.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/ew2sADcB>

სტუდენტები სახელმწიფო ენერგოკომპანიებში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სახელმწიფო უნივერსიტეტების მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები სახელმწიფო ენერგეტიკულ კომპანიებში სტაჟირებას გაივლიან. აღნიშნული პროგრამის შესახებ პირველი პრეზენტაცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა, რომლის დროსაც სასწავლებლის სტუდენტებს სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკისა და საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის უფროსმა ჯუბო ტურაშვილმა სტაჟირების დეტალები გააცნო.

ჯუბო ტურაშვილის განცხადებით, სისტემაშემადგენელი ენერგეტიკული კომპანიების გამართული მუშაობა დიდწილადაა დამოკიდებული კადრების კვალიფიკაციაზე. ამდენად, მისი თქმით, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის მდგრადი სისტემის შენარჩუნება და განვითარება პროფილურ უმაღლეს სკოლებთან საქართველოში.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მაღალკვალიფიციურ კადრებთან ურთიერთობით გაიზარდოს ახალი თაობა, რომლებიც მომდევნო ათწლეულებში შეძლებენ

ენერგეტიკული კომპანიების გამართული მუშაობის შენარჩუნებას. მემორანდუმი სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ამ მიზნის მატარებელია,“ - აღნიშნა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსმა. მან იმედი გამოთქვა, რომ სტაჟირების პროგრამა წარმატებული იქნება და მასში ბევრი მოტივირებული და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას.

„ვფიქრობ, ეს პროგრამა სტუდენტებისთვის იქნება მოტივაციის მიმცემი, მოიპოვონ ამ შესაძლებლობით სარგებლობის უფლება, უკვე სწავლის პერიოდში მიიღონ პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება და უნივერსიტეტების დასრულების შემდეგ დარგში მივიდნენ როგორც უკვე გამოცდილების მქონე პროფესიონალები,“ - აღნიშნა ჯუბო ტურაშვილმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პირველია იმ ხუთ უმაღლეს სასწავლებელს შორის, სადაც სამინისტროს წარმომადგენლებმა პროგრამის პრეზენტაცია გამართეს.

პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები შეძლებენ, გაიარონ ერთწლიანი ანაზღაურებადი სტაჟირება. სტაჟირების გავლის შემდგომ შესაძლებელია, დამსაქმებელსა და სტაჟიორს შორის გაგრძელდეს შრომითი ხელშეკრულება.

სტაჟირების პროგრამის მიმართულებებია: ელექტროენერგეტიკა და ელექტრო ინჟინერია; თბოენერგეტიკა; ავტომატიზებული მართვის სისტემები; იურიდიული; ეკონომიკური; აღრიცხვის კონტროლი; აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემები; ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები; ინჟინერ-გეოდეზია; სამთო გეოლოგია/ გეოინჟინერია; გაზით ვაჭრობა; ენერგეტიკული ბაზრის მართვა; გარემოს დაცვა და ქიმიკა.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/3w2sAXxA>

კლიმატის ცვლილება

COP29-ის მასპინძელი აზერბაიჯანი გეგმავს კლიმატის მიზნის განახლებას

აზერბაიჯანი, გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ წლევიანდელი მოლაპარაკებების მასპინძელი, იმედოვნებს, რომ ღონისძიების დროს განახლებს ემისიების შემცირების სამიზნეს, განაცხადა COP29 სამიტის მომავალმა პრეზიდენტმა.

აზერბაიჯანის ეკონომიკა ეყრდნობა ნავთობსა და გაზს და მისი არსებული მიზანია 2030 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების შემცირება 35%-ით და 2050 წლისთვის 40%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით. მეცნიერები ამბობენ, რომ მსოფლიომ ამ მიზანს 2050 წლისთვის უნდა მიაღწიოს, რათა თავიდან აიცილოს კლიმატის ცვლილების ყველაზე ცუდი გავლენა.

მუხტარ ბაბაევმა, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა, თქვა, რომ აზერბაიჯანმა დაიწყო მზადება კლიმატის ცვლილების ეროვნული ვალდებულების (NDC) განახლებისთვის. ”ეს არა მხოლოდ აზერბაიჯანისთვის, არამედ ყველა სხვა ქვეყნისთვის არის შანსი მოამზადოს და გამოაცხადოს განახლებული NDC-ები ბაქოში მიმდინარე წლის ნოემბერში”, - განაცხადა ბაბაევმა ინტერვიუში ლონდონში, Financial Times-ის კონფერენციაზე. ბაბაევმა, რომელიც მანამდე ორი ათწლეული გაატარა აზერბაიჯანის სახელმწიფოს კუთვნილ ნავთობისა და გაზის კომპანიაში, არ დააკონკრეტა, რა იქნებოდა

შესწორებული მიზანი. მის დანიშვნას კრიტიკა მოჰყვა კამპანიის მონაწილეთა და კლიმატის ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან, იმის გამო, რომ აგრძელებს იმ ტენდენციებს, რომლებსაც ღრმა კავშირები აქვთ ნავთობისა და გაზის ინდუსტრიასთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ მსოფლიოში მოლაპარაკებებს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/Cw2sA05j>

კანადა სუფთა ენერჯის კანონპროექტში ცვლილებების შეტანას გეგმავს

კანადის გარემოს დაცვის მინისტრის განცხადებით, მთავრობა სუფთა ენერჯის კანონპროექტში, რომლის მიზანიც 2035 წლამდე კანადის ენერჯოქსელის ემისიების ნულოვან ნიშნულამდე დაყვანაა, ცვლილებების შეტანას გეგმავს.

აღნიშნული კანონპროექტი პრემიერ-მინისტრმა, ჯასტინ ტრიუდომ, გასულ წელს გამოაქვეყნა. პროექტით გათვალისწინებული რეგულაციები კი 2050 წლამდე კანადის ეკონომიკაში ემისიების წმინდა ნულოვან ნიშნულამდე დაყვანის გეგმის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. რეგულაციების საბოლოო განხილვა და ამოქმედება კი წლის ბოლოსთვის იგეგმება.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შეთავაზებული ცვლილებები ელექტროენერჯის მწარმოებელი თითოეული სადგურისთვის ემისიების ლიმიტის დაწესებას ითვალისწინებს, ნაცვლად აქამდე არსებული ემისიის ინტენსივობის სტანდარტისა. რაც ელექტროენერჯის მიმწოდებლებს მეტი მოქნილობის საშუალებას მისცემთ.

კანადის რამდენიმე პროვინცია სუფთა ენერჯის რეგულაციებს მტკიცედ ეწინააღმდეგება. მათ შორისაა ქვეყანაში წიაღისეული საწვავის მთავარი მწარმოებელი ალბერტა, რომლის მთავრობაც საჯარო მფლობელობაში მყოფი ელექტროენერჯის კომპანიის შექმნას განიხილავენ, რითაც ფედერალურ რეგულაციებს თავიდან აირიდებდნენ. თუმცა გარემოს დაცვის მინისტრი აცხადებს, რომ კანონპროექტზე გადაწყვეტილება მთელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღეს და ის ცალკეული პროვინციების სურვილებზე დამოკიდებული არ არის.

თავდაპირველი კანონპროექტი 2040 წლიდან 10 წლის განმავლობაში 340 მილიონი მეტრული ტონა ნახშირბადის ემისიების შემცირებას მოიაზრებდა. მინისტრი განმარტავს, რომ გათვალისწინებული ცვლილებებით ეს მაჩვენებელი არ შეიცვლება.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/Gw2sSj9s>

ღონისძიებები

[GlobalMethaneForum 2024](#) - მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ქენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO2-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES Media Group

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

[ფოტოელექტრული კვლევის იტალიური ქსელის კონფერენცია](#) - Conferenza Rete Italiana

Ricerca Fotovoltaico 2024

თარიღი: 11- 12 ივნისი, 2024

ადგილი: ბოლცანო, იტალია

[ევროპის მდგრადი ენერჯეტიკის კვირეული \(EUSEW\) 2024](#)

სუფთა ნულოვანი ენერჯეტიკული გადაწყვეტილებები კონკურენტული ევროპისათვის

თარიღი: 11-13 ივნისი, 2024

ადგილი: ბრიუსელი, ბელგია, და ონლაინ

[მე-12 საერთაშორისო კონფერენცია -საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და განათების ენერგოეფექტურობა \(EEDAL'24\)](#)

თარიღი: 25–27 ივნისი, 2024

ორგანიზატორი: JYURI Jyukankyo Researc hInstitute Inc.

ადგილი: ქალაქი კიტაკიუშუ, იაპონია

[ფრაიბერგის მე-12 საერთაშორისო კონფერენცია ნახშირბადის ცირკულარული ტექნოლოგიების შესახებ](#)

თარიღი: 23-27 სექტემბერი, 2024

ადგილი: შანხაი, ჩინეთი

[მე-17 საერთაშორისო კონფერენცია ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების შესახებ](#)

თარიღი: 9-11 ოქტომბერი, 2024

ორგანიზატორი: ენერჯეტიკული პოლიტიკისა და განვითარების ცენტრი (KEPA)

ადგილი: ათენი, საბერძნეთი